




ხაშურის მთაშვე




№10 (41)

14 მარტი, ორშაბათი, 2016 წელი

ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაცია

ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაცია საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ევროკავშირთან ურთიერთობაში, ვინაიდან კონკრეტული ხელშეხახები სარგებლის მომტანი იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. საქართველოს მოქალაქეებს შეს-



ადლებლობა ექნებათ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდგომ. უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების მთავარი წინაპირობაა საქართველოს მიერ სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება. სამოქმედო გეგმის შესრულებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ევროკავშირის რეგულაციაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გზით საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება. ამჟამად საქართველო სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნით ფაზაშია. უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას: წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი. არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია; კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია; გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევ-

რი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია. ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს: დიდი ბრიტანეთის ვიზის მისაღებად: საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს, ირლანდიის ვიზის მისაღებად: ირლანდიის საელჩოს საკონსულო სამსახურს ქსოფიაში (ბულგარეთის რესპუბლიკა).

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტები. მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღის ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში; თუმცა, საჭიროა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს

უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში; რეკომენდებულია ისარგებლოთ შენგენის ზონაში ყოფნის დასაშვები პერიოდის გამოსათვლელი სპეციალური კალკულატორით. მოქმედი ბიომეტრიული პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები საქართველოში დაბრუნების დღისთვის. პასპორტის მისაღებად მიმართეთ იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, ნებისმიერ საზოგადოებრივ ცენტრს, ექსპრეს საზოგადოებრივ ცენტრს, საზღვარგარეთ საქართველოს ნებისმიერ საელჩოს/საკონსულოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურს. დეტალური ინფორმაცია ბიომეტრიული პასპორტის საფასურის შესახებ მისი გაცემის ვადების მიხედვით, ასევე გარკვეულ კატეგორიებზე არსებული შეღავათების შესახებ იხილეთ შემდეგ ბმულებზე: <http://psh.gov.ge/main/page/1/8/9> http://sda.gov.ge/?page_id=5103 <https://www.geoconsul.gov.ge/ka/services/4.html>

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების პროცესს მონიტორინგს უწევს ევროკომისია. იგი ახორციელებს ექსპერტთა შემფასებელ მისიებს საქართველოში და პერიოდულად ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს მიღწევების თაობაზე.



შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი თანამდებობიდან გადადგა

შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით პრემიერ-მინისტრს მიმართა.

ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს გუბერნატორის პრესსამსახურის წარმომადგენელმა განუცხადა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განცხადება დააკმაყოფილა, ხოლო გუბერნატორის მოვალეობას მოადგილე შეასრულებს. ამ ეტაპზე უცნობია ყოფილი გუბერნატორის მომავალი თანამდებობა. გიორგი კვირიკაშვილმა რუსიშვილს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა. „ქართუ ბანკის“ შიდა ქართლის სერვისცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი რუსიშვილი შიდა ქართლის გუბერნატორად 2013 წლის დეკემბერში დაინიშნა. მანამდე რეგიონს შემდეგი გუბერნატორები ჰყავდა: ირაკლი ბოჭორიძე, დავით ქობლიანიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, მიხეილ ქარელი, ლადო გეგელაშვილი, ლადო ვარძელაშვილი, სულხან სუხაშვილი, ზურაბ ჩხეიძე, ანდრო ბარნოვი



სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ მოქმედება დაიწყო

ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობთ, რომ საქართველოს მთავრობის 19 თებერვლის №265 განკარგულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის 856 827 ლარია გამოყოფილი. დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტის



ყველა სოფელში გაიმართა სოფლის კრებები, სადაც გამოვლინდა პრიორიტეტები. შედგა ოქმები, სადაც სოფლის მოსახლეობის მოთხოვნები ოფიციალურად დადასტურდა. უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის გამგეობა გამოაცხადებს ტენდერებს დაფიქსირებული პრიორიტეტების პროექტირებაზე. აღნიშნული პროექტები, სავარაუდოდ, ორ თვეში დასრულდება. ამის შემდეგ უკვე გამოვლინდება ის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროექტებს განახორციელებენ. თუ გასულ წლებში მცირეთანხიან პროექტებზე შესაძლებელი იყო პირდაპირი შესყიდვების წესით ხელშეკრულების გაფორმება, წელს ეს პრაქტიკა აღარ გაგრძელდება და ყველა პროექტზე ტენდერი გამოცხადდება. როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურში ვარაუდობენ, შემოდგომის დასაწყისისთვის ყველა სოფელში სამუშაოები დამთავრებული უნდა იყოს.

ტრენინგები მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის

ხაშურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში და დაინტერესებულ პირებს დეტალურად გააცნეს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში ჩართვის და განხორციელების ყველა დეტალი. დღეს ხელისუფლება აქტიურად ცდილობს ქვეყანაში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას. აღნიშნული ტრენინგებიც სწორედ ამის გამოხატულებაა. ტრენინგებში მრავალი დაინტერესებული პირი მონაწილეობდა და, იმედია, მათ ეს სწავლება დიდ სამსახურს გაუწევს მომავლისათვის.



შეგახსენებთ, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამაში ჩართვა და განაცხადის წარდგენა 31 მარტამდეა შესაძლებელი.

- სპეციალისტი გვიჩვენებს -

ვაზის სხვლა-ფორმირება

ვაზის სხვლის მიზანია ყურძნის რეგულარული და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღება. სხვლის საშუალებით მყარდება სასურველი შეფარდება ვაზის ზრდა განვითარებასა და მოსავლიანობას შორის.

ზოგიერთი ვენახს შემოდგომაზე სხვავს და საქმეს წინ იგდებს, თუმცა, შემოდგომაზე გასხლული ვაზი გაზაფხულზე შედარებით ადრე იღვიძებს და ნაადრევი ყინვის შემთხვევაში, შეიძლება პრობლემა შეექმნას, ამავ დროს ძლიერი ყინვიანი ზამთრის პირობებშიც არსებობს



შემოდგომაზე გასხლული ვაზის დაზიანების რისკი.

ამიტომ ჩვენს რაიონში მიზანშეწონილია ვაზის სხვლა ვაწარმოთ გაზაფხულის პირას, თებერვლის ბოლოდან.

საქართველოში გავრცელებული ვაზის ფორმირების წესებიდან აღსანიშნავია, ქართული ცალმხრივი, ქართული ორმხრივი, ორმხრივი მოკლე კორდონ, ორსართულიანი მრავალსაკეობიანი თავისუფალი ფორმა

ჩვენ შევჩერდებით ვაზის „ქართული ორმხრივი“ შპალერის ფორმირებაზე, რადგანაც ჩვენს რაიონში გავრცელებული ვაზის ჯიშების გენეტიკური პოტენციალის გამოვლინება და აგროეკოლოგიური პირობები საშუალებას გვაძლევს უპირატესობა მივანიჭოთ აღნიშნულ ფორმას, რომელიც ეგრეთწოდებული „გუიოს“ სხვლის პრინციპზეა დაფუძნებული.

აღნიშნული ფორმის ვაზზე ტოვებენ ორ სამამულე და ორ სანაყოფე რქას. სამამულე ისხვლება 2-3 კვირტზე, სანაყოფე კი ჯიშისა და რქის სიძლიერის მიხედვით 7-12 კვირტზე.

დამწვები მევენახეებისთვის რომ იყოს ცნობილი, სამამულე არის რქა ანუ რჩება 2-3 კვირტზე, რომელიც ინეკება, რომ მომავალი წლისათვის განვითარ-

როს კარგი რქები, რომ იმ ორ რქაზე გავსხლათ ვაზი, ხოლო სანაყოფე შედარებით დიდი, მოზრდილი, რომელმაც იმ წელს უნდა მოგვცეს მოსავალი.

იმისათვის, რომ ვაზს მივანიჭოთ ხანგძლივი სიცოცხლე, მივიღოთ კარგი და ხარისხიანი მოსავალი, შევუქმნათ ზრდის საუკეთესო პირობები და მომავალი წლისთვის კარგად განვითაროს საჭირო ფორმის ელემენტები, მისი სხვლა ფორმირებისას უნდა დავიცვათ შემდეგი ძირითადი წესები: 1) სანაყოფე რქა ყოველთვის ორწლიან რქაზე უნდა მდებარეობდეს; 2) სამამულე რქა აუცილებლად სანაყოფეზე დაბლა უნდა მდებარეობდეს; 3) სამამულე და სანაყოფე რქები ერთმანეთის გაგრძელებას კი არ წარმოადგენდეს, არამედ ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მდებარეობდეს; 4) შეძლებისდაგვარად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჭრილობების ცალ მხარეს მოქცევას, წვეწის შეუფერხებელი მო-



რობისთვის, ამისათვის საჭიროა სამამულეზე დატოვებული ქვედა კვირტი ყოველთვის ერთსა და იმავე მიმართულებით იყოს მოქცეული.

ვაზს საბოლოოდ უნდა ქონდეს ორი სამამულე 2-3 კვირტზე და ორი სანაყოფე, თითოეული 8-12 კვირტზე ნახსლავი.

რ. კურტანიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი

სტიქიული, როგორც მსიკა მენარკმს სასოფლიოში მისცა

მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამა, აწარმოე საქართველოში, უკვე მეორე წელია მიმდინარებს. დაფინანსება 5000-15 000 ლარია. მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მცირე მეწარმეს შეუძლია, როგორც უკვე არსებულს, ასევე დამწვებსაც.



რომელსაც აქვს საინტერესო ბიზნეს გეგმა და ითვალისწინებს საქმიანობის გაფართოებას და მუშა-ხელის დასაქმებას. გასულ წელს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მრავალი 21 განაცხადი შევიდა აქედან 16 პროექტი მოწონებული და დაფინანსებულია. ჩვენ ერთ-ერთ მცირე მეწარმეს ვესტუმრეთ და ვნახეთ, როგორ წარმართა მან თავისი საქმიანობა, და ზოგადად, რა შეიცვალა გრანტის მიღებიდან ერთ წელიწადში. დავით ფერაძე მეორე ჯგუფის ინვალიდია, 16 წელია მცირე ოჯახური ბიზნესის საამქრო აქვს. აწარმოებს სკამების, საწოლების, პამაკების, ბავშვის საქანელების ნაირსახეობებს.

დავით ფერაძე (მწირე მეწარმე): რადგან ეს იყო საქმე, რომელსაც ათეულობა წლებია ვაკეთებ და ამ პროცესში მთელი ოჯახი ვართ ჩართული, გადავწყვიტეთ შეგვეცვალა დაზგა-დანადგარები, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა მრავალფეროვანი და უფრო თანამედროვე გაგვეხსნა ჩვენი ნაკეთობები. გავიგეთ, რომ არსებობდა მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამა, დავრეგისტრირდით, მივიღეთ კონსულტაციები და დაფინანსდით 5000 ლარით. განვახსენებ ჩვენი სახელოსნო და უფრო მეტად ხარისხიან ავეჯს ვაზადებთ-ორნამენტულს. იმატა დამკვეთების რაოდენობამაც. ჩვენი ავეჯი ბევრ სკოლაში, საბავშვო ბაღებში, მაღაზიაში, სარიტუალო დარბაზებშია, გვეყავს სხვა დამკვეთებიც. ჩემი შვლი თბილისში მუშაობდა, დაბრუნდა და ჩემთან ერთად მუშაობს, ინტერესი და სტიმული გაუჩნდა. ეს პროგრამა ნამდვილად რეალურია, რომელიც ჩემნაირი მცირე მეწარმეებს აძლევს თავისი საქმის უკეთესად კეთების შესაძლებლობას.

თ. ჭავჭავაძე

არის პროფესიები, რომლებიც საუკუნეებია წმინდა კაცურ საქმედ ითვლება და ქალბატონებს აზრადაც არ გაუფლავიათ ამ პროფესიებში კაცების ჩანაცვლება, თუმცა XXI საუკუნეში სომ მრავალი „დაკანონებული“ ტრადიცია თავდაყირა დააყენა და ქალისა და მამაკაცის ცალ-ცალკე პროფესიული კლასიფიცირება დაასრულა.

საინტერესო ადამიანებზე - ქალბატონი, რომელმაც „დაკანონებული“ სტერეოტიპი შეცვალა

ამ წერილში სწორედ ერთ-ერთ ქალბატონზე გვინდა, მოვითხროთ, რომელმაც საუკუნოვანი სტერეოტიპი შეცვალა და მამაკაცებს ღირსეულ და გამორჩეულ „მოწინააღმდეგედ“ მოეგვინა. საინტერესო ადამიანების ძიებაში კვალ-მა სოფელ ბიჯნისში კიპაროიძეების ოჯახთან მივვიყვანა. ოჯახის უფროსი ია კიპაროიძე ხელობით დურგალია - ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ დავასკვნით, რომ - ჩინებული. ქალბატონ იას ყველაზე მძიმე წუთებში მოუწია ისეთი მძიმე ჭაპანის ზიდვა, რასაც შვილების მარტო გაზრდა და ფეხზე დაყენება ჰქვია. 21 საუკუნეში თითქმის ვთანხმდებით ქალის და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, ქალბატონმა იამ კი სიტყვა თანასწორუფლებიანობა კიდევ უფრო ფართო ჭრილში დაგვანახა, რომელმაც, თავის მხრივ, წარმოდგენები გაგვიმყარა ქალის უსაზღვრო შესაძლებლობებზე. ვუთანაგრძნობთ კიდევ მას ამგვარი მძიმე სამუშაოს გამო, მაგრამ მეორეს მხრივ, გული სიამაყით გვევსებოდა, რადგანაც არამარტო ჩვენი რაონის არამედ მსოფლიოს ქალთა რიგებში ასეთი ქალბატონი რომ ეწერებოდა, ასეთი ძლიერი, ასეთი შეუპოვარი, ასეთი ღირსეული... დიას, ვუთანაგრძნობდი მის დაკოჟრულ ხელებს, მის დაღლილ სახეს, თუმცა ქედს ვიხრიდით მათ წინაშე.

უკვე ამ საქმეს მარტო ვუძღვები. ხანდახან ჩემი ბიჭიც მეხმარება, ვთქვით, მასალად 4 მეტრიანი ხეა დაზგაზე დასადები და მარტო ვერ ვახერხებ, თუმცა, ძირითადად, მარტო ვმუშაობ. - ქალბატონო ია, რამდენად ახერხებთ ამ ხელობით ოჯახის რჩენას?

- შეძლებისდაგვარად, მე და ჩემ ოჯახს გვეოფნის. ძირითადად შეკვეთებზე ვმუშაობ. ხანდახან საკმაოდ ბევრი შეკვეთა მაქვს. მაგალითად

შემკვეთის სურვილისამებრ, გარდა ხის ბოლომდე დამუშავებისა, რომელიც თავისთავად გულისხმობს გაშლას-შინებას გალაკვას და ა.შ. ვსვამ ასევე მინებსაც და სახელურებს თავისთავად. - ძირითადად რა მასალაზე მუშაობთ? ამ ბოლო დროს, მასალის შოვნა საკმაოდ გაჭირდა. ისე კი, ძირითადად წაბლზე ვმუშაობ. კლიენტებს ხშირად მოაქვთ ნაძვიც. აი, მაგალითად, ერთი კარების დამზადების ფასი დაახლოებით 200 ლარამდეა. ქალბატონო ია, თქვენ სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით, აპირებთ ამ საქმიანობის გაგრძელებას?

- მიუხედავად იმისა რომ ეს ხელობა ძალიან კარგად შევისწავლე თავისი უმცირესი დეტალებით, იმდენად კარგად რომ სხვასაც თავისუფლად შევასწავლი, მაინც ვფიქრობ, რომ



გადავიდალე. ჩემ დღეს ძირითად სამაქროში ვატარებ. გარდა იმისა, სკოლის მოსწავლე გოგონა მყავს და მასაც ყურადღება სჭირდება. გამძლეობას უსურვებთ ქალბატონ იას, იმ დიდ საქმეში, რომელსაც ის ასე მთელი ძალებით შესჭიდებია და ცდილობს ცხოვრების მძიმე ქარტეხილებს მედგრად გაუმკლავდეს.

თ. ახალკაცი

გამიგონია ძველი ხალხისგან, ისეთი დალოცვილი მიწა გვაქვს, უკუღმა რომ ჩააგლო თესლი, წაღმა ამოვაო-ამას თუ უფლისგან ბოძებულ ფიზიკურ და გონებრივ რესურსსაც დაახმარ, სოფელიც აშენდება. სოფელს კი ნამდვილად უნდა შენება!

ჩვენი მომდევნო სასოფლო-სამეურნეო ექსპურსი ისევ ქვიშხეთის მაღლიან, ისტორიულ მიწაზე შედგა. ჯერ კიდევ ძია გიზოს ღვინისგან თავბრუდახვეულები, მისი სტუმართმოყვარეობის ემოციის ქვეშ ვიყავით, როდესაც უკვე ვაშლის ახლადგაშენებულ ბაღებს გავყურებდით-ინტენსიური ბაღი ყოფილა-ამინა ბატონმა ზაზამ, კოოპერატივი "მადლის" დამფუძნებელმა და სულის ჩამდგმელმა. წარმოდგენელი სანახავია, როგორი თვალებით უყურებენ ადამიანები თავიანთ შექმნილს, როგორ კეთილშობილებას უნაწილებს მიწა მაღლიერ ადამიანს, რამდენი სიკეთის მიცემა შეუძლია. ზაზა ხუხიაშვილს, მრავალი წელი რუსეთში უცხოვრია, დაბრუნებულს, ისეთი საქმის კეთება გადაუწყვეტია, რაც ორმხრივ სარგებლიანი იქნებოდა, შემოსავალსაც მოიტანდა და სხვისთვის სიკეთესაც. ბევრი აღარ უფიქრია, თანამოაზრეები გაიჩინა, შეკრიბა და შეუდგა ისეთი კულტურების გაშენებას, რაც მოთხოვნადი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ბაზარზე. რაც მთავარია, იქნებოდა სტიმული ადამიანებისათვის, როგორ შეიძლება იბრძოლო, აკეთო, დაიდალო და მიიღო შედეგი. სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის აღორძინება და ხელშეწყობაც დაეხმარა და შეუდგა საქმეს, რომელიც მისთვის უცხო, მაგრამ იმედის მომცემი იყო. ვნახეთ, მოგუწონეთ, შევუქმეთ ვაშლის ბაღი. დავსხედით, ჩამოყალიბებოდა, გვემეზებოდა, აწმყოსა და მომავალზე ვისაუბრეთ. ეს როგორი საქმე და მასპინძლობა გვეცოდნია ქართლში:

წარმატებული კოოპერატივები მომავლის ხნენით დანებური საქმე



ზაზა ხუხიაშვილი (კოოპერატივი "მადლის" დამფუძნებელი):
-დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ვცხოვრობდი, დაბრუნებულს გამიჩნდა სურვილი სოფლის მეურნეობით დაგვაკავებულიყავი, რადგან ყველაზე მაშული შვიდური და ქართული საქმე ეს იყო. კონსულტაცია გამიწია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა, მომცა მიმართულება და შევუდექი საქმიანობას. შევქმენი კოოპერატივი, სადაც დღეისათვის 19 ადამიანია გაწევრიანებული. გადავწყვიტეთ ვაშლის ბაღი გაგვეშენებინა, რადგან მოთხოვნა დიდია ბაზარზე. ასევე კაკლის გვაქვს 5 ჰა-ზე გაშენებული, ვაპირებთ მარწყვისა და მავყლის გაშენებას. კახა კაკაშვილი (კოოპერატივის წევრი):
-მე და ზაზას ჯარისდროინდელი მეგობრობა გვაკავშირებს. იდეა ზაზასი იყო, გარკვეული თანხა მქონდა, მომეწონა იდეა და შევეურთდი. ამ მხრივ გამოცდილება აღარ უკვე მქონდა. იჯარით მქონდა ადგილი მიწა და პომიდვრის მოყვანით ვიყავი დაკავებული. როდესაც პოლიტიკური სიტუაცია აირია, რუსეთში წავედი საცხოვრებლად. ჩამოვედი და ისევ სოფლის მეურნეობას დავუბრუნდი. გავერთიანდით და ერთობლივი ძალებით დავიწყეთ შრომა. ევროპაში 70-იანი წლებიდან შემოვიდა ინტენსიური ბაღები, რომლის მიზანი მცირე ფართობზე დიდი მოსავლის მიღებაა. ინტენსიური ბაღები მოსავლელადაც ადვილია და მოსავალსაც მეტს იძლევა. მეწლეური არაა, 35 წლამდე ხარობს. სახელწიფომ უნდა შექმნას გარემო, რომ მოსავლის რეალიზება მარტივი და მოსახერხებელი იყოს. მიწის რესურსი თუ გაქვთ?
ზაზა ხუხიაშვილი:
-ჩემი მეუღლე ქვიშხეთელია, თავდაპირველად აქ დავიწყეთ საქმიანობა, რადგან აქაური მიწა თავისი უნიკალური თვისებებით გამოირჩევა. ყველაზე ხანგრძლივი და როული ეტაპი მიწების შესყიდვა იყო, კოოპერატივის წევრების შეკრება, მათი დაჯერება, რომ ეს საქმე პერსპექტიული და მომავალზე გათვლილია. მიწების დიდი რაოდენობა ნაყიდვად გვაქვს, მთლიანობაში 78 ჰა მიწა გვაქვს, გარდა ქვიშხეთისა, გომშიც ვიყიდეთ მიწა. ახლა შეიძლება ორი ადამიანი დაემატოს კოოპერატივს თავისი მიწებით. თქვენი საქმიანობა მხოლოდ ვაშლის კულტურის გაშენებით არ შემოიფარგლება...
-თავდაპირველად გათვლა ინტენსიურ ბაღზე გავაკეთეთ, ანუ ისეთი კულტურებზე, რომლებიც სწრაფად მზარდი იქნებოდნენ, ნაკლები დანახარჯი და მეტი შემოსავალი ექნებოდა. დავიწყეთ ვაშლის და კაკლის კულტურების გაშენებით, მუშაობის პროცესმა და ბაზრის შესწავლამ სხვა რადიკალურ ფიქრის სტიმული მოგვცა. ამჟამად 1,20 ჰექტარზე გვაქვს ინტენსიური ბაღი, ახლა 1,70 ჰექტარზე ვაშენებთ და შემოდგომით გიზელას საძირებზე ბაღი გვინდა გავაშენოთ. ძვირადღირებული ნერგებია, პოლანდიდან შემოდის და მესამე წელია რიგში ვართ. ისეთი ჯიშია, 1 ჰა-ზე 40 ტონის დაკრეფა შესაძლებელი და მისი სხაზრო ფასი 3,5 ლარი იქნება. 3 ჰა გვექნება ვაშლი, 1 ჰა გვექნება ბაღი, 1 ჰა - მყვალად. კაკალი უკვე გაშენებული გვაქვს 5 ჰა-ზე. პირველი ნიშანი მოგვცა. 3 წელიწადში გამართული იქნება, ჯუჯა ხეებია. 1 ჰა-ზე 400 ნერგი გვაქვს დარგული და უნდა მივიღოთ 10 ტონამდე მოსავალი. უნიკალური კულტურაა. წელიწადში მხოლოდ 2-3-ჯერ უნდა შეწამვლა. ერთი ძირი 18-20 კგ-ს იძლევა. შემოდგომით ვაპირებთ ბლის ბაღის გაშენებას 1 ჰა-ზე, შესაძლებელია 40 ტონის დაკრეფა. მისი ფასი 3,5 ლარი იქნება. ძირითადად, ვაშლის რა ჯიშები გაქვთ?
-ბაზარზე მოთხოვნილებამ გადაგვაწყვეტინა ვაშლის სამ ჯიშზე გავვეკეთებინა არჩევანი: „გოლდენი“, „აიდარიდი“ და „ჯონაგოლდი“. ნიადაგის სტრუქტურებიდან გამომდინარე, საქართველოში არსებობს 30 ძირითადი ნადაგი. ნიადაგი უნდა მოარგო საძირეს. კვირტი გამოჰყავთ ლაბორატორიებ-

ში, ხანგრძლივი პროცესია, საუკეთესო თვისებებს იღებენ მეცნიერები და ქმნიან ვაშლის ახალ ჯიშს.

-რამდენი ხანია ინტენსიური ბაღი გაქვთ, პირველ მოსავალს როდის ელოდებით?

-მეორე წელიწადია გავაშენეთ ვაშლის ბაღი. პირველი მოსავალი უკვე მივიღეთ 2,700 კგ. წელს 10 ტონამდე ველოდებით. განსაკუთრებული ჯიშია, პოლანდიდან ჩამოვიტანეთ კვირტი, დავანამყენეთ. ჯუჯა ხეებია, ყინვაგამძლე და ძალიან მაღე იძლევა მოსავალს. სამი მცნობა აქვს, მეწლეობის თვისება არ გააჩნია, ნაყოფი სტანდარტული ზომისაა. ერთ ძირზე 20 კილოგრამს იხამს დაახლოებით. 2 მეტრამდე იზრდება, 5 წელიწადში გამართული ძირია და სრულ მოსავალს იძლევა. განსაკუთრებულ მოვლას და ყურადღებას არ საჭიროებს, ხესთან მაშინ უნდა მიხვიდე, როცა მას სჭირდება. თვეში სამჯერ იწამლება ბოლო თვენახვევრის გარდა. შარშან 18-ჯერ შევწამლეთ. ბაზარი თუ მოსინჯეთ, რამდენად მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანია თქვენი ვაშლი?

-პირველი მოსავალი ხაშურში გავყიდეთ, 2,70 თეთრად. საწყობი არ მაქვს ჯერ-ჯერობით, თუმცა, ამ ეტაპზე შემიძლია საკუთარი სახლის სარდაფი გამოვიყენო, თუმცა, არ ვარ მომხრე ვაშლის დასაწყობების. სულ მცირე, როცა ბაღი



გამართება, 200 ტონა ვაშლი უნდა მივიღოთ, ეს მაგალითად, კარფურისთვის ერთი კვირის ბაზარია. ჩვენი ვაშლი, მოთხოვნილების მხოლოდ 6-7% აკმაყოფილებს ყველა კულტურის მოყვანას თავისი სპეციფიკა აქვს და გარკვეულ ცოდნას მოითხოვს. თქვენ რამდენად ვვალდებულნი ხართ ამ საქმეში?

-როდესაც ეს საქმიანობა დავიწყეთ, მხოლოდ სურვილი და ფულადი რესურსი გვქონდა. კახას ჰქონდა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ მოგესხენებოდა, თანამედროვე ტექნოლოგიებს მართლაც სხვა სპეციფიკა აქვს და სხვანაირ ცოდნას საჭიროებს. არ დაგეზარებია რჩევა გვეკითხა, დღემდე სწავლის პროცესში ვართ. ესწავლობთ ბაზარს, კულტურას, ვეძებთ გზებს და ამის შემდეგ ვწყვეტთ, რა როგორ ვაკეთოთ. კონსულტაციებს ვიღებთ სოსო ფარეხელაშვილისგან, გორის სათემშია, უფლის 12-15 ჰა სანერგეს, გამოჰყავს საუკეთესო ჯიშის ნერგები. ძალიან გვეხმარება, უხარია, როცა რჩევას ვეკითხებით. შემოვიტანეთ ვაშლის კვირტები და მან დაგვინამყენა. არ შეიძლება არ აღვნიშნო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის დამსახურება. ნებისმიერ დროს მზად არიან კონსულტაციისათვის, გვირეკავენ, გვასწავლიან, ინფორმირებას გვიწვევენ სახელმწიფო პროგრამებზე. კოოპერატივიც მათი რჩევის საფუძველზე შევქმენით. გარდა თქვენი რესურსებისა, სხვა ტიპის დახმარება ან ხელშეწყობა თუ გაქვთ?

კახა კაკაშვილი:
-„USAID“ დაგვიმონტაჟა 1 ჰა-ზე წვეთოვანი სისტემა. მაგრამ, ძირითადად, საკუთარი სახსრებითა და ძალებით ვაკეთებთ ყველაფერს. კოოპერატივების გაერთიანების სამმართველოს ხელმძღვანელი გიორგი მიშველაძე ძალიან გვეხმარება. დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ თუ გვექნება მიწების გარკვეული რაოდენობა, ძალიან დაბალ ფასად შეგვასყიდონ ტექნიკას, რომელიც აუცილებელია ჩვენი საქმიანობისათვის. მონაწილეობა მივიღეთ პროექტში "დანერგე მომავალი". სახელმწიფო გვიფინანსებს ნერგების ღირებულებების 70%-ს. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი შრომა მიზანმიმართულად გამოვიყენო და მეტი სარგებელი ნახო. ქართული პროდუქტი საუკეთესო გემოვნური თვისებებით გამოირჩევა, რაც ამ მაღლიანი მიწის დამსახურებაა.

თ. ჭავჭავაძის მიწილი



მხოლოდ დღეს

1. მხოლოდ დღეს მე მინდა მოვსინჯო ვიცხოვრო ამ დღეს კარგად. მე არ შეეცდები, უცებ გადავწყვიტო ყველა ჩემი პრობლემა. შემიძლია რაღაცის გაკეთება 24 საათის განმავლობაში, მაგრამ მე შემაშინებდა რაღაცის კეთება მაშინ, თუ მეცოდინებოდა, რომ ამის გაკეთება მომიწევს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.
2. მხოლოდ დღეს მე მინდა ვიყო ბედნიერი. დამიანებს უმრავლესობა ბედნიერები არიან იმდენად, რამდენის უფლებასაც აძლევენ საკუთარ თავს.
3. მხოლოდ დღეს საკუთარ ქცევაში მინდა ვიხელომდებოდე რეალური სინამდვილით და არა საკუთარი მოსაზრებებით, მე შევეგუები ჩემს ახლანდელ მდგომარეობას და არ შევეცდები, გადავაკეთო ყველაფერი ჩემებურად.
4. მხოლოდ დღეს მე შემიძლია მოვსინჯო, გავამეაო ჩემი ცოდნა, მინდა რაღაცა ვისწავლო და გავაკეთო რაღაცა სასარგებლო, მინდა წავიკითხო რაიმე, რაც მოითხოვს ძალისხმევას, აზროვნებას და კონცენტრაციას.
5. მხოლოდ დღეს მე მინდა გავავარჯიშო ჩემი ნებისყოფა 3 საშუალებით:
 - გავეუკეთებ ვინმეს სიკეთეს და შევეცდები, ამის შესახებ არავინ არ გაიგოს და თუ მაინც გაიგებს ვინმე, ეს უკვე აღარ ჩამეთვლება.
 - გავაკეთებ რაიმე ისეთს, რისი გაკეთებაც არ მინდა, მაგრამ გავაკეთებ ამას ჩემი ნებისყოფის გასავარჯიშებლად.
 - მე თუ ვინმე მაწყენებს, მე ამას არ შევიმჩნევ.
6. მხოლოდ დღეს მე მინდა მოვხადინო კარგი შთაბეჭდილება. მე მინდა ვიყო მიმზიდველი, სასიამოვნოდ ჩავიცვამ. საუბრის დროს არ ავიწვევ ხმას, ვიქნები თავაზიანი, არავის და არაფერს არ განვსჯი. შევეცდები, არაფერში არ დავინახო ნაკლი და შევეცდები არ გამოვასწორო არავინ საკუთარი თავის გარდა.
7. მხოლოდ დღევანდელი დღისთვის მაქვს შედგენილი პროგრამა. მე შეიძლება ყველა ვერ შევასრულო, მაგრამ ვეცდები და შევებრძოლები 2 მტერს: აჩქარებას და მერყეობას.
8. მხოლოდ დღეს მე გავეცდები ყველაფერს ნახევარი საათით, რათა დავრჩე საკუთარ თავთან მარტო და დავისვენო. მავე დროს მე შევეცდები, უკეთესად გავაძნობიერო ჩემი ცხოვრება და ის, თუ რა არის საჭირო გავაკეთო მის გასაუმჯობესებლად.
9. მხოლოდ დღეს მე არ შემიშინდება და სიამოვნებას მივიღებ იმით, რაც მშვენიერია და ვერწმუნებ, რომ ის რასაც გავცემ სამყაროში, აუცილებლად დამიბრუნდება. დღეს - ეს არის ხვალე, რის შესახებაც ვწუხდით გუშინ.



– ხელმარჯვე ოსტატები – საბუჩავებით შექმნილი საოცხებები

ამ წერილის მოსამზადებლად გეზი სურამისკენ ავიღეთ, მას შემდეგ, რაც ინტერნეტში, შემთხვევით, მეორადი საბურავებისაგან დამზადებული საოცარი ხელნაკეთი ნივთები ვნახეთ, რომელსაც სურამში მცხოვრები ზაქარია ძიძიშვილი ამზადებს. დამთვანხმებით, ინტერნეტში უამრავი ვიდეორგოლია, სადაც ათასგვარი ხერხებით და საშუალებებით გასწავლიან ამა თუ იმ ორიგინალური ნაკეთობების დამზადებას, მაგრამ ჩვენში, როგორც იტყვიან, – „თუ ხელი არ მოგყვებაო“, ბატონი ზაქარიაც ასეთი ხელმარჯვე ოსტატი აღმოჩნდა, „ხელი ნამდვილად მოსდევს“ და თანაც როგორ! ჯერ კიდევ ეზოში შესვლისას შეამჩნევთ მის კრეატიულ ბუნებას. პატარა ბაღის საოცრად აკურატულად, სუფთად და ორიგინალურად ჰქონდა მოწყობილი. ბატონი ზაქარია ბაღში ფუსფუსებდა, ჩვენი მოსვლის ამბავი რომ შეიტყო, მხიარულად შემოგვევება და თავისი წამოწყების შესახებც სიამოვნებით გვიამბო: ასეთი ნაკეთობები ინტერნეტში ვნახე, და, რა თქმა უნდა, მომეწონა, გადავწყვიტე, მეც მეცადა მსგავსის გაკეთება. მე თავად მშენებელი ვარ, რემონტებს ვაკეთებ და ასე თუ ისე, მეხერხება მსგავსი საქმიანობები. თავდაპირველად, მხოლოდ ოჯახისთვის გავაკეთე, შემდგომში, თუ სტუმარი მოგვივიდოდა, მეზობელი ან მეგობარი, ყველას მოსწონდა და, ეს ბოლო დღეებია გასაყიდადც გამოვიტანეთ. შრომას ბევრს მოითხოვს, თუმცა, საბოლოო შედეგით ყოველთვის კმაყოფილი ვრჩები. დაახლოებით მე-5-ე დღეა და უკვე 6 ცალი გაიყიდა – ძირითადად გამგლელებმა შეიძინეს. ნელ-ნელა დავიწვევ შეკვეთების მიღებას, ზოგს ინდივიდუალურ ნაკეთობებს ვუმზადებ.



შეხვედრა გენიალურ პოეტთან

9 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტმა, გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით, გამოჩენილ ქართველ პოეტს ტარიელ ხარხელაურს უმასპინძლა. ღონისძიება ხაშურის სამუსიკო სკოლის განახლებულ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ხაშურის საზოგადოებას, რომელიც კარგად იცნობს მის გენიალურ პოეზიას, მიეცა შესაძლებლობა, მოესმინათ მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები-ეს იყო პოეზიის დღესასწაული, გაზაფხულის მზით გამთბარი. ხაშურელმა ხელოვანებმა მას სიურპრიზიც მოუმზადეს და მის ლექსებზე შექმნილი ახალი სიმღერების პრემიერა შესთავაზეს პოეტს. ეს იყო საღამო, რომელიც გინდა, რომ დაუსრულებლად გაგრძელდეს. საღამოს დასასრულს პოეტმა ძველ შედეგებთან ერთად ახალი ლექსები გააცნო დამსწრეთ.



– ბატონო ზაქარია, რა სახის სამუშაოებს ატარებთ ნაკეთობების დასამზადებლად, ან რა ხელსაწყოების გამოყენებას საჭიროებთ?
– პირველ რიგში, ვყიდულობ მეორად საბურავებს, ვრეცხავ საგულ-



დაგულოდ. ფორმას სპეციალური საჭრელი „ბარგალით“ ვაძლევ. ამ საქმეში ჩემი მეუღლეც მესმარება, მაგალითად, ის ღებავს ნაკეთობას, როცა მე სხვა საქმით ვარ დაკავებული. ვღებავთ სპეციალური ფასადის საღებავით „აკრელით“, რომელიც კარგად უძლებს გარემო პირობებს.
– ნაკეთობის ფასი რამდენად მისაღებია კლიენტისათვის?
მაგალითად, დასადგამისა და გედის ფასი ერთად 50 ლარია, ცალკე გედის – 25 ლარი, პატარა ქოთნების ღირებულება 10 ლარს შეადგენს. ვფიქრობ, რომ მისაღები ფასი უნდა იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ ბევრ შრომას მოითხოვს.

წარმატებას ვუსურვებთ ბატონ ზაქარიას. მოხარულები ვიქნებით, თუ ამ ბიზნესის მხარდაჭერაში და განვითარებაში ჩვენს წვლილსაც შევიტანთ. კრეატიულ და მოტივირებულ ადამიანებს მხარში დოგმა ორმაგად სჭირდებათ.

თ. ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

საქართველოს გაბარებები

საქართველოს გაბარებები

საქართველოს გაბარებები

D ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30



დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ.

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს, სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.



საბჭოთა ჯავშირის 7 საოცრება:

1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
2. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

^D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.